შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა # 295

ქ.ბორჯომი 28 ივნისი 2019წ

ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, ფაქტიური მისამართი ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ #5, საიდენტიფიკაციო კოდი 226161961, წარმომადგენელი ლევან ლიპარტიას სახით და მეორეს მხრივ შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახური"-ს მისამართი ქ. ბორჯომი, რუსთაველის I შესახვევი #4 , საიდენტიფიკაციო კოდი 226166369, წარმომადგენელი დირექტორის ვასილ მჭედლიძის სახით, შევთანხმდით შემდეგზე:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-13 მუხლის, 2019 წლის 14 მაისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახური" შორის გაფორმებული #187 (CPV45200000) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-16 მუხლის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი ყიფიანის 2019 წლის 28 ივნისის #1145-02 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახურს" შორის გაფორმებულ # 187 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში (CPV45200000) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

1. 2019 წლის 28 ივნისს შეჩერებულ იქნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები 2019 წლის 15 სექტემბრამდე.

2. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:- მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს 2019 წლის 15 სექტემბრიდან **30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.**

3.ხელშეკრულების მე-17 მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რეადაქციით:- ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

5.წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ხუთ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ამათგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო დანარჩენი ოთხი რჩება შემსყიდველს.

შემსყიდველი: თვითმმართველი ერთეული	მიმწოდებელი შპს "წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახური"
ბორჯომის მუნიციპალიტეტი მისამართი: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. #5. საიდენტიფიკაციო კოდი 226161961 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური სახაზინო კოდი 300629800 ბანკის კოდი :TRESGE22 ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობებზე	მისამართი: ქ.ბორჯომი, რუსთაველის I შეს.#4 საიდენტიფიკაციო კოდი 226166369 ბანკი: სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშსწორების ანგარიში # GE18TB0141336080100004
ლევან ლიპარტია	ვასილ მჭედლიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული შტამპი

N 1145-02
28/06/2019

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლევან ლიპარტიას
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის
სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობაზე
ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის
გიორგი ყიფიანის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 14 მაისს გაფორმებული N185 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახური" სოფლის პროგრამის ფარგლებში აწარმოებს სოფ. ცემში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოებს, 2019 წლის 14 მაისის N186 ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სოფ. ლიბანში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის, ხოლო 2019 წლის 14 მაისის N187 ხელშეკრულების საფუძველზე კი სოფ. ტბაზე სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოებs.

სამუშაოები შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, ანუ 2019 წლის 28 ივნისის ჩათვლით. 2019 წლის 7 ივნისს N6821/02 განცხადებით მოგვმართა ტბის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა მამუკა ლურსმანაშვილმა , რომელმაც მოითხოვა, რომ აღნიშნულ სოფლებში დაწყებულია საკურორტო სეზონი და სამუშაოების განხორციელების პროცესში გარკვეული დროით მოსახლეობას შეუწყდება წყლის მიწოდება, რაც მოსახლეობისა და დამსვენებლების უკმაყოფილებას გამოწვევს და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს შეჩერდეს პროექტის განხორციელება და გადატანილი იქნეს ზაფხულის სეზონის დამთავრების (15 სექტემბერი) შემდეგ.

ვინაიდან აღნიშნული სოფლებში ზაფხულის სეზონზე საკამოდ დიდი დამსვენებელთა ნაკადი, რაც ერთერთი შემოსავლის წყაროა ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის მიაზნშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს ზემოთ ხსენებული სამუშაოების შეჩერება და მისი განხორციელება გადატანილი იქნას საკურორტო

სეზონის დამთავრების შემდეგ 2019 წლის 15 სექტემბრიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

გთხოვთ მისცეთ მითითება შესაბამის სამსახურს შეთანხმების პროექტის მოსამზადებლად.

გიორგი ყიფიანი

ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ლევან ლიპარტიას

ტბის ტერიტორიული ერთეულის

მაჟორიტარი დეპუტატის

მამუკა ლურსმანაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც მოგეხსენებათ, ტბის ადმინისტრაციულ ერეულში, კერძოდ სოფლებში: ლიბანი, ტბა, ცემი, სოფლის პროგრამით უნდა განხორციელდეს სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის და სარეზერვო ავზის რეაბილიტაცია, რომელსაც ახორციელებს შ.პ.ს „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახური".

ამასთანავე მინდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნულ სოფლებში საკურორტო სეზონი დაწყებულია და სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში, გარკვეული დროით მოსახლეობას უნდა შეუწყდეს სასმელი წყლის მიწოდება, რაც გამოიწვევს მოსახლეობისა და დამსვენებლების უკმაყოფილებას.

აქედან გამომდინარე გთხოვთ აღნიშნული პროექტის განხორციელება შესაძლებლობის ფარგლებში გადავიტანოთ ზაფხულის სეზონის დამთავრების (15 სექტემბრიდან) შემდეგ.

ტბის ტერიტორიული ერთეულ;ის მაჟორიტარი

დეპუტატი: მამუკა ლურსმანაშვილი

6821/02

07.06.2019